

სარგბიელი

მედიკალი
ნივლითი

საორტული გაზეთი

პარასკევი 19 ნოემბერი 1999 №223 (996)

ფასი 50 თეთრი

4 იაზას გოლი ლაგაეზი მორა

ალექსანდრე იაშვილის
გოლს გერმანელმა
ჟურნალისტებმა
საუკეთესოთა კონკურსში
მეორე ადგილი
მიაკუთვნეს -

8 მპროპენჟისჟრის სამი პარიანტი



ბელგია, ჰოლანდია,
ესპანეთი და გერმანია
ერთ ჯგუფში ვერ
მონგდებიან

12 დედოფალს სამი მთხოვნილი ჰყავს


ვინ შეცვლის ნებილოს:
ზანგი, უნგრელი თუ
ჩინელი?

14 თუ ნაცვლიშვილის არ გჟერათ, აბერ მაიკლ ჯორდანი



რაც ჩვენთან ხდება, ამას
კალათბურთს ვერ
დავარქმევ — ამბობს
საქართველოს
საკალათბურთო ნაკრების
ტრავმირებული კაპიტანი
ვახტანგ ნაცვლიშვილი

გადანყდა: ლოკომოტივი — დინამო 1:2



ბუშინ სადისციპლინო კომიტეტმა მიიღო
გადანყვეტილება, რომელსაც სამი დღე მოუ-
ნდა. შენუხდა და მოთმინების ფილა ავესო
ყველას, საფეხბურთო საქართველოში შეიძრა
ერიც და ბერიც. რა თქმა უნდა, ასეთ დროს
მხოლოდ სამართლიან განსჯას ელიან. სადი-
სციპლინო კომიტეტმა ამ გადანყვეტილებით
ბევრი ეჭვი კი გაფანტა „ლოკომოტივი“ —
„დინამოს“ თამაშის ანგარიში 1:2 უცვლელი
დატოვა, მაგრამ...

სადისციპლინო კომიტეტი ოთხშაბათს შე-
იკრიბება და იმსჯელებს იმ დარღვევებზე,
რომელიც შეხვედრისას დაფიქსირდა. ასეთი
ფაქტი კი არაერთი იყო ორივე გუნდის მხრი-
დან.

კომიტეტი წინადადებით მიმართავს ფეხ-
ბურთის ფედერაციას, რათა შეიქმნას კომპე-
ტენტური კომისია, რომელიც გამოიძიებს,
იყო თუ არა „ლოკომოტივი“ — „დინამო“ ჩან-
ყობილი.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ეს სკანდალი
თითქოს დასრულდა, მაგრამ ნუ გგონიათ,
ყველაფერი ამით ამოიწურა, მთავარი ამბები,
ფაქტობრივად, ახლა უნდა დაიწყოს. საფეხ-
ბურთო საქართველომ უნდა იცოდეს, ვინ ვინ
არის, სიმართლე, რაგინდ მწარე, აუცილე-
ბლად უნდა ითქვას.

იხილეთ მესამე გვერდი

მერანი და ნაბაკი სხვადასხვა გზით ნაპიძნენ ფედერაციას სხვა გზით ნასვლას აპირებს: ქველ კადრებს დათხოვნით ემუქრება

აჯანყებულ პრეზიდენტს კლუბი არ გაჰყვას. კვლავაც ჩეხეთში
თამაშს აპირებს და ფედერაციისგან შეწყალებას ელის

თბილისის „მერანი“ საქართველოს ეროვნულ
ჩემპიონატს, ალბათ, არ მიატოვებს.

„გუნდი ვარჯიშობს და რუსთავის „გორდა-
სთან“ შაბათს გასამართი მატჩისთვის ემზადე-
ბა“ — გვაცნობა გუშინ „მერანის“ მწვრთნე-
ლმა სერგო გაბელიამ. „ჩვენ ძველებურად გა-
ვარჯიშდებით, დარჩენილ ორ შეხვედრასაც ვი-
თამაშებთ, მერე კი ვნახოთ, რა იქნება. ვინ
იცის, იქნებ ახალი სპონსორიც გამოგვიჩნდეს,
თუ არა და...“ — ეს სიტყვები ბატონ სერგოს
ეკუთვნის.

„საბოლოოდ ვერ კიდევ არ გადაგვიწყვე-
ტია, თუმცა ყველა ფეხბურთელის სურვილია,
პირველი ეტაპი ჩავამთავროთ. ალბათ, ასეც მო-
ვიქცევით, მერე კი თუ ახალი პატრონი გამო-
გვიჩნდა, ამას რა ჯობს. არადა, ყველა თავის
გზას ეწევა“ — გვითხრა გუნდის ნახევარმცვე-
ლმა სოსო დევიძემ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით „მერანის“ აწ-
უკვე ყოფილი პრეზიდენტის ნუგზარ ნავაძის
აზრიც გვიანტერესებს, მაგრამ იგი ქალაქიდან

გასულა და მასთან დაკავშირება ვერ შეეძე-
ლით.

ასე რომ, „მერანი“ ჩემპიონატს არ მიატო-
ვებს. საბოლოოდ ისე გამოვიდა, კლუბიდან
მხოლოდ მისი დამაარსებელი და პატრონი,
ნუგზარ ნავაძე წავიდა, „მერანი“ კი, ვერ გე-
ტყვით როდემდე, მაგრამ დარჩა. ეროვნულ ჩე-
მპიონატს კიდევ ერთი ერთუზიანობით მოთამა-
შე გუნდი შეემატა. ღმერთმა ინებოს, მერანე-
ლებს იმედი რეალობად ექცეთ და ახალი პა-
ტრონი გამოუჩნდეთ, მაგრამ, სიმართლე გი-
თხრათ, გვეუწყება რახანია, თბილისის „არსე-
ნალიც“ ამ დღეშია, მაგრამ გამოითხავი და
მშველელი დღემდე არავინ გამოჩენილა.

როგორც შევითქვით, ფეხბურთელებთან
ერთად მწვრთნელებიც და კლუბის სხვა თანა-
მშრომლებიც დარჩენას აპირებენ.

რაც შეეხება ფეხბურთის ფედერაციის პრე-
ზიდენტ მერაბ ჟორდანიას ამას წინათ თქმულს,
„მერანმა“ თამაში რომც მოინდომოს, მე წინა-
აღმდეგნი წავალო, ძნელი დასაჯერებელია ასე

მონდეს. ჟორდანიამ ის ალბათ ცხელ გულზე
უფრო თქვა. ამას გენერალური მდივნის ვა-
ლერი ჩოლარაის სიტყვებიც ადასტურებს, ყვე-
ლაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, „მერანი“ ჩემ-
პიონატიდან არ გავიდესო. თან დაამატა, ჩვენ
გუნდისთვის ამის საბაბი არ მიგვიცია, პირი-
ქით, „მერანს“ ბევრ რამეში დავეხმარეთ, მეო-
ნი, ნუგზარ ნავაძის გადაწყვეტილების მიზეზი
სხვა რამააო. ისე ჩოლარაიმ არც მსაჯების
შეცდომები უარყო. „შეიძლება მსაჯები მართლაც
შეცდნენ, მაგრამ ეს ამჟამინდელი ფედერაციის
ხელმძღვანელობის ბრალი არ არის. ჩვენ ბე-
ვრი ისეთი თანამშრომელი გვყავს, ვინც ადრე
ძველ ფედერაციაში მუშაობდა და გარკვეულ
მაჩინაობებშიც იყო გარეული. ამას ახლაც გა-
ნაგრძობენ, მაგრამ მერწმუნეთ, სულ მალე სა-
კადრო ცვლილებებს განვახორციელებთ და ყვე-
ლაფერი გამოსწორდება“ — გვითხრა ბატონმა
ვალერიმ, როცა „მერანთან“ დაკავშირებით კო-
მენტარი ვთხოვეთ.

ვანო ოპროპირიძე

გობი დამატრადი: ქართული ფეხბურთის რეალობა კატასტროფა და ტრაგედიაა

საბურთალოს ქუჩაზე, მყუდრო ერთთახიან ბინაში, ფეხბურთზე უზომოდ
შეყვარებული კაცი ცხოვრობს. ძველი, გაცილებით სოლიდური ბინა ამას წინათ
გაყიდა, ერთადერთ ქალიშვილს სრულფასოვანი განათლება რომ მიეღო უცხოეთში
და ეს პირველი შემთხვევა გახლდათ, როცა გოგი დემეტრაძემ პირადი ქონება
ფეხბურთისთვის კი არ გაყიდა, სხვა საქმეს მოახმარა. რა შეძლო ამ თავგანწი-
რით? 1970 წლიდან მოყოლებული მსოფლიოს ჩემპიონატი არ გაუცდენია, ფეხბუ-
რთით ნახა მსოფლიოს ათეულობით ქვეყანა... „დინამო“, თბილისის „დინამო“ იყო
მისთვის ყოველთვის ტკივილი და სიხარული, მისი მაჯისცემით ცხოვრობდა
თბილისში, მოსკოვში, ტაშკენტსა თუ დიუსელდორფში. იგი ყოველთვის იყო იქ,
სადაც „დინამო“ იყო, ქართული ფეხბურთი იყო...
დღესაც ფეხბურთშია, ქართულ ფეხბურთში — სადისციპლინო ტექნიკური
კომიტეტის წევრია და თავის ტკივილზე გვესაუბრება...

იხილეთ მეორე გვერდი



ვანო ოპროპირიძის ფოტო



უკრაინა: შოკოვსკი, ლუნი, ფოდოროვი, გლოვკო, ვაშუკი, დმიტრუშინი, კანდაუროვი (კოვალოვი 46), სკაჩენკო (მოროზი 58), კოსოვსკი (პოპოვი 74), შევჩენკო, რებროვი

სლოვენია: დაბანოვიჩი, კარიჩი (ოსტერცი 74), რუდოვია, მილანიჩი, გალიჩი, მილინოვიჩი, ნოვაკი, ჩეპი, უდოვიჩი (აჩიმიოვიჩი 57), ზაპოვიჩი, პავლინი

გაფრთხილება: ზაპოვიჩი, მილანიჩი, დმიტრუშინი, აჩიმიოვიჩი

მსაჯი: ბ. პაინემანი (გერმანია)

სლოვენია დაამტკიცა, რომ ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე თამაშის ღირსია. საამისოდ მან პლეიოფის ორი შეხვედრის ჯამში უკრაინას სძლია.

სლოვენიელთა წარდგენისას სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტი მიჩ ფილიპი წერს, რომ ამ გუნდმა ევროპის პირველობის შესარჩევ ჯგუფთა შორის უსუსტესში ნორვეგიის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა და შესაბამისად — იმიტომ, რომ უსუსტესი ჯგუფიდან იყო — ყველა იოლად დასამლევი ძალად მიჩნეულა. და აი, სლოვენია კონტინენტის საფეხბურთო საზოგადოებრიობა ბელგიისა და პოლანდიის სტადიონებზე იხილავს. მიჩელი გვეუბნება, რომ 1991 წელს, იუგოსლავიის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებულ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი ფეხბურთის გუნდი სწორედ სლოვენიელებს ჰყავდათ.

ასე იყო თუ ისე, სლოვენიის ნაკრებმა პლეიოფში ამოპო თავი და იქ მეტოქე უკრაინის ეროვნული გუნდი ერგო. მოგეხსენებათ, მეტოქეთა პირველი შეხვედრის ბედი ერთობ კურიოზულმა გოლმა გადაწყვიტა, ფაქტობრივად მოედნის ცენტრიდან გატანილმა. სლოვენი-

ელემა მამინ 2:1 იძალეს და აი, ოთხშაბათს, საპასუხო შეხვედრაში, ზამთრის კვირში, ყოფილმა იუგოსლავიელებმა 1:1 ითამაშეს.

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. 69-ე წუთზე სტუმართა საჯარიმოში ანდრეი შევჩენკო წააქციეს. დაინიშნა თერთმეტმეტრიანი დარტყმა, რომელიც სერგეი რებროვმა შეასრულა ზუსტად. მაგრამ გამოხდა 10 წუთი და მირან პავლინიმა შორეული და მავანის ფეხიდან ასხლეტილი დარტყმით მხარტყეული ალექსანდრ შოკოვსკის კარი დასცა.

ამის შემდეგ იმთავითვე ფაფორიტად შერაცხულ უკრაინის ნაკრებს მდგომარეობის გამოსასწორებლად ჰქონდა დრო, მაგრამ ხეირიანი ვერაფერი მოახერხა.

„რაც მოხდა ჩვენთვის ტრაგედიაა“ — თქვა პრეს კონფერენციაზე უკრაინელთა მეორე მწვრთნელმა ლეონიდ ბურიაკმა — „ამ წუთებში, გასახდელში ნამდვილი დრამაა. მთელი გუნდი ძლიერ განიცდის“.

დამარცხებულთა მთავარმა იმედმა, „მილანის“ თავდამსხმელმა, ანდრეი შევჩენკომ შეხვედრა ჩვეულთან შედარებით გაცილებით ცუდად ჩაატარა.

ნაწილობრივ ამის მიზეზი დათოვლილი მინდორი გახლდათ, თუმცა ვარსკვლავმა მაინც მოახერხა, ერთობ საკამათო პენალტის მონადირება.

უკრაინელთა გლოვის ფონზე სლოვენთა მწვრთნელის, სერგეო კატანეცის ზეიმი საგანგებო იერს იძენდა:

„პატარა ერისთვის ეს დიდებული გამარჯვებაა“ — თქვა მან — „ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მეტოქის ძლევასა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრას შევძლებდით. მაშინაც კი, როდესაც 0:1-ს ვაგებდით მწამდა,



დანია — ისრაელი 3:0. ებრაელი ალონ ჰასანი (№6) და დაინელი იესპერ გრონკიეგრი ბურთისთვის იბრძვიან

რომ გავიმარჯვებდით. შეხვედრის მიწურულს ჩვენ უფრო სხარტად ვთამაშობდით. გადაწყვეტიეთ, რომ შეგვიტია და შევუტეთ. გეგმისთვის ერთი წუთითაც არ გადავიხვევია“.

დანია 3:0 ისრაელი

პირველი მატჩი 5:0

1:0 სანდი (3), 2:0 სტენ ნილსენი (14), 3:0 დალ ტომასონი (64)
დანია: შმაიხელი (სორენსენი 18), ტოფტინგი, პენრიკსენი, პოგი, პაინცე, ჰელვეგი (ლაურსენი 70), სტენ ნილსენი, გრონკიეგრი (შონბერგი 83), დალ

ტომასონი, იორგენსენი, სანდი ისრაელი: ელიმელეხი, ა. ხარაზი, ამსალენი (ზადირი 43), შელახი, ტალქარი, ჰასანი, პაინი, ტალი (ტალასნიკოვი 28), ტურჯემანი, ბერკოვიჩი, ბენაიონი (გერშონი 72)

მსაჯი: ვ. მანუელ მელი პერეირა (პორტუგალია)



უკრაინა — სლოვენია 1:1. უკრაინელებმა ვიტალი კოსოვსკიმ (№9), სერგეი ფოდოროვმა (№3) და ალექსანდრ გოლოვკომ (№4) სლოვენიელი ზლატკო ზაპოვიჩი (№10) მოცულეს

REUTERS კიევიდან

დანია ისრაელის ნაკრებს ერთხელაც აჯობა. ამჯერად 3:0. ამრიგად, ორი შეხვედრის ჯამში დანიელებმა 8:0 გაიმარჯვეს.

1992 წლის ევროპის ჩემპიონი თავს აბსოლუტურად უსაფრთხოდ გრძნობდა. თელ ავიური მატჩის ტრიუმფატორს (5:0) 41 ათასი ქომავლისთვის შემტევი ფეხბურთის ჩვენების გარდა ფაქტობრივად ამოცანა არ ჰქონდა.

ანგარიში შესამე წუთზე ებე სანდმა გახსნა. ამ მომენტში შეცდომა სტუმართა გოლიკაპრმა შავით ელიმელეხმა დაუშვა. მან მარტინ იორგენსენის მარჯვნიდან ჩაწოდებული ბურთი ვერ შეიმაგრა.

II წუთის შემდეგ ბრაიან სტენ ნილსენმა 28 მეტრიდან ჩინებულად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და დაინელები ახლა უკვე ორი გოლით დააწინაურა.

მნიშვნელოვან ეპიზოდთა შორის აღსანიშნავია მე-18 წუთზე მასპინძელთა ლეგენდარული მეკარის, პიტერ შმაიხელის მოედნიდან გასვლა. მის ნაცვლად ძელთა შორის ადგილი „სანდერლენდის“ კარის მცველმა, თომას სორენსენმა დაიკავა. ეს სორენსენის დიდი ხნის ნანატრი დებიუტი გახლდათ ეროვნული გუნდის შემადგენლობაში.

შესამე გოლი 64-ე წუთზე „ფიენორდის“ ფორვარდმა, იონ დალ ტომასონმა შეაგდო.

„თუ გავითვალისწინებთ, რომ თელ ავიში 5:0 გვქონდა მოგებული, დღეს საუცხოოდ ვითამაშეთ“ — განაცხადა მატჩის შემდეგ დანიელთა მწვრთნელმა ბო იოჰანსონმა — „პერიოდულად ყველაფერს დიდებულად ვასრულებდით“. იონ დალ ტომასონი: „ჩვენ ფანტასტიკურ შედეგს მივაღწიეთ. პლეიოფი გავიმარჯვეთ, რაც მთელი გუნდის დიდი დამსახურება გახლავთ“.



სოციალური კრიკეტი

პაპისტანში, კერძოდ კი პობარტში, კრიკეტის მეორე ტესტი მიმდინარეობს მასპინძლებსა და ავსტრალიელებს შორის. სამხუბროდ, ქართველი ერის უდიდესი უმრავლესობისთვის კრიკეტი კვლავ რჩება ამოუცნობ, მოსაწყენ და საძულველ (რატომ აჩვენებენ ტელევიზორში) თამაშად. ეს იმის ბრალი თუა, რომ ოდესღაც საქართველო რუსეთმა დაიპყრო და არა ბრიტანეთმა. რუსული თამაში „გოროდკი“ კი ვერ გამოდგა იმ გაქანებისა, ისე რომ შეყვარებოდათ ქართველებს, როგორც პაპისტანელებსა და ოზებს შეუყვარდათ კრიკეტი.



REUTERS პობარტში



საქართველო, იაპონია

ტკივილია გაიარა

დახმობა, თამაშის დროს დაშავებული „ყოჩი“ მორაგბე გუშარაშვილი. მაგრამ მორაგბენი იმ ყაიდის ხალხია, რომ თუნდ საკაცზე იწვნენ, ფეხბურთელებივით არ იკლაკნებიან. რაგბში სხვანაირი ჭირთათმეხა და თანადგობაა. გუშარაშვილს კი მოწინააღმდეგე, ჯარის გუნდის მომხიბვლელი ექიმი წამლობს. ტკივილი გაივლის, ასეთია სარაგბო ჯივარი.

პოკაის ჯივარში



რაიან კორეა სულ შვიდი წლი-საა, მაგრამ პოკეისა უკვე ბევრი გაეგება. კანადაში სხვაგვარად არც გამოიყვანა. რაიანი მამას მიუყვანია პოკეის დიდების დარბაზში, ტორონტოში რომ უძევს ბინა. ამ დღეებში იქ უნინ გრეცის შემო-რიალური დარბაზი გაიხსნა. უნინის მამას უოლტერს პირადად მოუგროვებია ის 802 შაინა, დაად ვინმეს რომ გაუტანია მონინაა-მდეგეთა კარში. რაიან კორეაც ამ შაინებს შესცქერის. ვინ იცის, სულ მალე ეგებ კორეა-უფროსმაც გრეცკი-უფროსის დარად დაი-წყოს შვილის გატანილი შაინების შეგროვება. ენეიჩელი კი ხელის განდენა-ზეა. პატარა რაიანი ნაღდ ვაჟკა-ცად უნდა იზარდოს, რათა იქ მო-ხვდეს. ივარჯიშე, რაიანი!

REUTERS ტორონტოდან

სტუმარობა ბიუფეში



REUTERS ბიუფე ებოდან

დიდი გულმზიარული კაცია ეს კევი კიგანი. კარგა ხანია, ინგლისის ნაერებს არ ჰყოლია ამგვარი პაიპარა მუნეჯერი, რომელმაც ბიუფე ების (ინგლისის ნაერების საშინაო ბანკის) კარი ფართოდ გაუღო განთქმულ ბრიტებს — აქათდა, ნაერებში ღია და ხალისიანი ვითარება უნდა სუფევდესო. ჩოგბურთელი ტიმ ჰენმანიც ამიტომ მოსულა ბიუფეში. კიგანი მასთან საუბრით ერთობა, ფეხბურთელები კი თავისთვის ვარჯიშობენ. რაც ივარჯიშეს გამოხნდა — სქოთებმა სულ ჯივარი დაუწვეს „უემბლიზე“ და რომ არა მისტერ დევიდ სიმენი... ეპ, ვისაც სქოთები არ შეეცოდა! მაგრამ ინგლისი მაინც ინგლისია და კიგანიც არ არის მთლად ხელწამოსაკრავი.



REUTERS კუალა ლუმპურში

მთქნარება კუალა ლუმპურში

მცდამორმატი ქვეყნის განთქმული ყვანჯოსან-მეგოლფენი ჩასულან მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურში, რათა პირვე-ლად გაითამაშონ გოლფის მსოფლიო თასი. ეს მთქნარებაზე გადა-სული ვინმე ირლანდიელი პედრეივ ჰარინგტონია, რომელიც თავის მოქნევის რიგს ელის. შეჯიბრის პირველ დღესვე რომ მთქნარებას დაიწყებ, რას მოიგებ?

სარბიელი
საერთოული გახეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბერიდან
გამოდის სამსახურათს,
ოთხსახურათს, ხუთსახურათს,
პარასკეპს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოცხვერი
დირექტორი გიორგი მარტოვიძე
რედაქტორი თამაზ მიხრაიული
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი პასტანა ბუნიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოსო კოტორიძე
ინფორმაციის რედაქტორი სოსო კოტორიძე
ტექნიკური რედაქტორი ზურაბ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მირაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქტორი, ქართული განყოფილება კონსტანტინე გომეზი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პატა კვანტა-

ლიანი, ზენა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქტორი ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გიორგი თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიორგი ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიო-რები გურამ დოღუნაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მათა აბუნიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გულუტაშვილი, სვეტა დეკაძე; მკვლელობის რედაქტორი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კვდელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
ქორაუსი, IV სართული.
საუროსტო მისამართი:
თბილისი — 79, საუროსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieri@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieri